

# EthicCapital - ცვლილებები საქართველოში

კატრინ თევდორაშვილი



შტუტგარდის ახალგაზრდობის თავისუფალი სემინარიის ყოფილი სტუდენტი, რომელმაც გერმანიაში ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა საქართველოში ბრუნდება, რომ იქ ფულის ეთიკური გამოყენებისათვის იზრუნოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ერთ დამეში უმდიდრესი საბჭოთა რესპუბლიკიდან დსთ-ს უღარიბეს ქვეყნად იქცა. მთელი თაობა მომსწრე გახდა, როგორ აორთქლდა თვალსა და ხელს შუა მათი მშობლების ქონება. ხელისუფლების ცვლილებამ და სამოქალაქო ომმა ქვეყანა სოციალურ და ეკონომიკურ ქაოსამდე მიიყვანა. საქართველო მსოფლიოს ათი ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანას შორის აღმოჩნდა . ვისაც საშუალება ჰქონდა ცდილობდა სამუშაო საზღვარგარეთ ეპოვა.

დავით ნიგურთანმაც საზღვარგარეთის გზა აირჩია. 1995 წელს ის შტუტგარტის ახალგაზრდობის თავისუფალ სემინარიაში ჩავიდა, შემდეგ ქალაქ ნიურტინგენში ეკონომიკის ფაკულტეტი, სადიპლომო ნაშრომით: “მიკროკრედიტები საქართველოში“, დაამთავრა და GLS-ს ბანკში იმუშავა, სადაც სხვა საქმიანობებთან ერთად კრედიტის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობასაც ასრულებდა.

2003 წლის ნოემბერში ახალგაზრდა რეფორმატორმა პოლიტიკოსებმა, ეგრედწოდებული ვარდების რევოლუციის გზით ხელისუფლება შეცვალეს. მაფიოზური დაჯგუფებები განიდევენა, საბაჟოს ხელმძღვანელობა რამოდენიმეჯერ შეიცვალა, კორუმპირებული პოლიციის აპარატი ახლიდან დაკომპლექტდა.

„ამ მგრძობიარე ფაზაში საზოგადოებისათვის ახალი იმპულსები ეფექტური და აუცილებელია“ ამბობდა მაშინ დავით ნიგურაიანი. 2008 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და არაკომერციული კავშირი **EthicFinance**-ი დაარსა, რომელიც ფულის ეთიკური გამოყენებისათვის ზრუნავს. უკვე ორი წელია **EthicFinance**-ი სხვადასხვა დაწესებულებებს მაგ. ბიოლოგიურ მეურნეობას, ანტროფოსოფიულ ორგანიზაციებს დახმარებას უწევს ბუღალტერიაში და ამყარებს კონტაქტებს დონორებთან. იმისათვის, რომ მომავალზე ორიენტირებული პროექტები გრძელვადიანი შედეგის მომტანნი გამხდარიყვნენ მათი კაპიტალით უზრუნველყოფა აუცილებლობას წარმოადგენდა, ამიტომაც, ნიგურაიანის ინიციატივით 2010 წლის ოქტომბერში საკრედიტო კავშირი **EthicCapital**-ი დარეგისტრირდა. ის ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან გამჭვირვალობითა და მოგებაზე არაორიენტულობით განსხვავდება, **EthicCapital**-ი მდგრად პროექტებზე და კრედიტის გაცემისას თანამონაწილეობის უფლებაზე არის ფოკუსირებული. კოოპერატივი უპროცენტო სესხებითა და საწევრო შენატანებით ფინანსდება.

საერთო ფინანსური სისტემის იდეა ერთურთის დასახმარებლად საქართველოში ტრადიციული მხარდაჭერითა და თანადგომით არის ნასაზრდოვები. სიახლე საერთო პასუხისმგებლობის ასპექტია. კაპიტალიზმს აქ ჯერ არ აქვს დიდი ტრადიცია და ოცნება მილიონერობაზე ახლა ბევრ სფეროში რეალურია. 2011 წლის Economy Ranking-ის თანახმად საქართველო გერმანიას, შვეიცარიასა და ავსტრიაზე წინ იმ თორმეტ ქვეყანას შორის მოხვდა, სადაც ბიზნესის კეთება ყველაზე იოლია. ამ გადასახედიდან **EthicCapital**-ის დამფუძნებლები უპირველეს ყოვლისა გონიერებას ისურვებენ.

**EthicCapital**-ის მიზანია მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცვლილებებში და ამასთანავე ადამიანების ცნობიერებაში ფულისადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულება გაამძაფროს. **EthicCapital**-ის დამფუძნებლები საქართველოდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან ახალგაზრდა ადამიანები არიან, რომლებმაც ისწავლეს როგორ დააკავშირონ ერთმანეთთან ტრადიციული ცხოვრების სტილი და ახალი ხედვები ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში.